განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

3-4 დეკემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი:

09.02.2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ1

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 424066977 |
| დაწესებულების სახე | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | სამართალი/Law |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0421 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br><br>#380, 13.09.2012 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზვიად როგავა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, | ლევან მოსახლიშვილი, სამართლის |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| ქვეყანა) | დოქტორი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდის დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში, კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თათია უბერი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

აკრედიტაციის მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი იყო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც 240 კრედიტის მოცულობისაა. წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში 2012 წლიდან, როდესაც მას მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს #380 გადაწყვეტილებით აკრედიტაცია. პროგრამას ჰყავს 93 აქტიური სტატუსის მქონე სტუენტი. პროგრამას აქვს შესაბამისი სტრუქტურა, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის მიზნები და შედეგები. სამართლის საბაკლავრო პროგრამის სტრუქტურა კი შემდეგნაირია: თავისუფალი კომპონენტი (15 კრედიტი), თავისუფალი კომპონენტი - ინგლისური ენა (25 კრედიტი), სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, საჯარო სამართლის მოდული (75 კრედიტი), კერძო სამართლის მოდული (75 კრედიტი), სისხლის სამართლის მოდული (60 კრედიტი), პრაქტიკული კურსი (10 კრედიტი). მოდულები, ძირითადად, დაყოფილია მოდულის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებად. პროგრამას თან ახლავს პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა, ასევე, სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების რუკა. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში განსაზღრულია სტუდენტის შეფასების სისტემა, სწავლება-სწავლის მეთოდები და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაცია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა დისტანციური ფორმით, რომელიც წარიმართა კონსტრუქციულ გარემოში. აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 3 და 4 დეკემბერს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან. კერძოდ, შეხვედრა განხორციელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სადაც ექსპერტებმა მოვისმინეთ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია, ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის მნიშვნელობასა და განხორციელება-ადმინისტრირების თაობაზე იქნა ინფორმაცია გაზიარებული. მომდევნო შეხვედრა შედგა თვითშეფასების ჯგუფთან, სადაც წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია პროგრამის საკრედიტაციოდ მომზადებისა და თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შესახებ. მომდევნო შეხვედრა წარიმართა პროგრამის ხელმძღვანელებთან, სადაც ბევრი კითხვა დაისკვა პროგრამის სხვადასხვა ნაწილთან მიმართებით.

შემდეგი შეხვედრა დაეთმო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუირებას, სადაც დასმულ იქნა მათ წინაშე პროგრამასთან დაკავშირებული მრავალი კითხვა. შემდეგი

შეხვედრა დამსაქმებლების პანელში გაიმართა, რომლის შემდგომაც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრითა და მათი გამოკითხვით, ფაქტობრივად, დასრულდა ბაკალავრიატის პროგრამის სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრება. ზემოაღნიშნული შეხვედრები განხორციელდა დისტანციურად, ე.წ. ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის პერიოდში ასევე განხორციელდა უსდ-ის მატერიალური რესურსების, მათ შორის უსდ-ის ბიბლიოთეკისა და წიგნადი ფონდის, დათვალიერება ონლაინ რეჟიმში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეტწილად აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, იმისათვის, რომ პროგრამამ აკრედიტაციის სტანდარტი სრულად დააკმაყოფილოს, საჭიროა მთელი რიგი რეკომენდაციების შესრულება, რომლის რესურსის მოძიება უნივერსიტეტის სამომავლო ხედვაზე იქნება დამოკიდებული. რეკომენდაციებთან ერთად, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილია ის რჩევები, რომელიც დაწესებულების მხრიდან აღნიშნული პროგრამის უფრო კარგი ადმინისტრირების პროცესს შეუქმნის საფუძველს.

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდირებულია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის უსდ-მ შეიმუშავოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ შეფასებების ვალიდურობას, სანდოობას და გამჭვირვალობას. მიზანშეწონილია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის სასწავლო კურსები ან კომპონენტები, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება და არა ე.წ. ნებაყოფლობითი დამატებითი გამოცდების გზით;
- რეკომენდირებულია ცალკეულ შემთხვევებში პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“, მაშინ როდესაც კურიკულუმის თანახმად ორივე სასწავლო კურსი ერთ სასწავლო სემესტრში ისწავლება. სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განისაზღვროს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)“. დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“-ს დაშვების წინაპირობებიც. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“, რაც აშკარად არასაკმარისია ამ სასწავლო კურსის შესასწავლად. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“. ამასთან, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 “-ის დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“-ს ნაცვლად უნდა

განისაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, ვინაიდან ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა ამ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების შესასწავლად;

- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამამ სავალდებულოდ მოიცვას ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებაც;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში მე-14 და მე-15 თემები ან მე-13, მე-14 და მე-15 თემები ან მე-13 და მე-14 თემები, მათ შორის, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა აბსოლიტურად იდენტურია. სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახილველი საკითხები გადანაწილდეს ისე, რომ აღმოიფხვრას მათი დუბლირება;
- რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან;
- პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა;
- რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმა გადაიხედოს და სწორად გაიწეროს როგორც შეფასების მეთოდები, ისე განხორციელების დრო, შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება გაიმიჯნოს კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება აისახოს თვითშეფასების ანგარიშში;
- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირველი საფეხურის დონის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში აისახოს საერთაშორისო ტენდენციებიც და სტუდენთა ინტერნაციონალიზაციის საკითხებიც.

- ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში და შედეგებში სიტყვები „მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე“ შეიცვალოს სიტყვებით „ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე“;
- პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა (20 ECTS), თუნდაც ისეთი სავალდებულო კურსების ხარჯზე, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, სასჯელის შეფარდება, სასჯელაღსრულებითი სამართალი და საარჩევნო სამართალი. აღნიშნული ცვლილება უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში;
- პროგრამის თავისუფალი კომპონენტი შედგება ზოგადტრანსფერული უნარების განმავითარებელი სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან. შესაბამისად აღნიშნული კომპონენტი არ წარმოადგენს თავისუფალ კომპონენტს. თავისუფალი კომპონენტის შემთხვევაში სტუდენტს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის თავისუფალ კომპონენტს სასურველია ეწოდოს ზოგადტრანსფერული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები ან არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;
- სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსი „ინფორმატიკა“ სასურველია სტუდენტს უვითარებდეს ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების უნარს;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია 6-8 სასწავლო სემესტრების განმავლობაში სასწავლო რესურსებში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
- სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები („შესავალი სამართალმცოდნეობაში“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა“, „ადმინისტრაციული სამართალი - ადმინისტრაციული წარმოება“, „შრომის სამართლი”, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „ვალდებულებითი სამართლი (ზოგადი ნაწილი)”, „სახელშეკრულებო სამართლი”, „სამოქალაქო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა”) გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის განახლებისა და მათში უახლესი სასამართლო პრაქტიკის ინტეგრირების მიზნით;
- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულ თითოეულ განსახილველ თემასთან მიმართებით განსაზღვრისას მხოლოდ ამ თემისათვის რელევანტური სავალდებულო ლიტერატურა. მაგალითად, სასწავლო კურსის „საგადასახადო სამართალი“-ს სილაბუსში თხუთმეტივე განსახილველ თემასთან

მიმართებით მითითებულია სილაბუსით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც განსახილველ თემასთან მიმართებათ ირელევენტურია;

- სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა სრულად უნდა გამოიყენებოდეს ამავე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკის შესწავლისათვის და ის ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის" სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მ. ლომსაძის სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (თბ., 2020), მ. ტურავას სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (თბ., 2013) და ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც ამავე კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკასთან მიმართებაში სავალდებულო ლიტერატურად მხოლოდ მ. ლომსაძის სახელმძღვანელო გამოიყენება;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული კურსის სახით ითვალისწინებს იურიდიული კლინიკას, რაც პროგრამის აუცილებელ კომპონენტია. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას და საჯარო სკოლებში ეფექტური სამართლებრივი განათლების დანერგვას. იურიდიული კლინიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ინტერაქტიული მეთოდიკის გამოყენებით ძირითადი სამართლებრივი საკითხების სწავლებას. მიზანშეწონილია სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნულ მოდელს „პრაქტიკული კურსის - იურიდიული კლინიკის" ნაცვლად ეწოდოს პრაქტიკული სამართლის კლინიკა (Street Law) და პროგრამის სავალდებულო კომპონენტიდან გადატანილი იქნას პროგრამის არჩევით კომპონენტებში. ამასთან, აღნიშნული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით უსდ-მ უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები საჯარო სკოლებთან;
- სასურველია უსდ-მ შეიმუშაოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა);
- სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;
- სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com. აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის, ასევე, სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, რომლებშიც ასახულია, თუ რა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, სამართლის არსის, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ასევე სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ნათლად ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:<br><br>• შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, მათ შორის, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების, ასევე იურიდიული ხასიათის დოკუმენტებზე მუშაობის უნარი;<br>• მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის თეზისის |

განვითარების, შერჩეული მიდგომის დასაბუთების და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;

- მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიებისა და განახლებული ცოდნის საფუძველზე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი.

ამრიგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები აღწერს თუ რა ცოდნის, რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ საგანმანთლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში და შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავებაში და აქტიურად იყო ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ასევე დამსაქმებლი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების აღწერისას გათვალისწინებულია, როგორც პროგრამაში ჩართული პირების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლი ორგანიზაციების რეკომენდაციები, ასევე შრომის ბაზრის ანალიზის შედეგები და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ შრომის ბაზარზე ძირითადად დასაქმებულნი არიან სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები, შრომის ბაზრის კვლევის ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აკლიათ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

აღნიშნული უსდ-ის მიერ გათვალისწინებული იქნა როგორც საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებით, ასევე შინაარსითა და გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგიით.

საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირველი საფეხურის დონის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, სასურველი იქნებოდა უსდ-ას, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემუშავებისას, შეესწავლა და გაეანალიზებინა უცხოური გამოცდილებაც, მათ შორის, პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამის მიზნებში მკაფიოდ გამოეკვეთა ინტერნაციონალიზაციის საკითხებიც.

მთლიანობაში, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, გამოყენებული სწავლების

მეთოდოლოგიისა და ინსტიტუციაში არსებული რესურსების გათვალისწინებით რეალისტურია, მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული.

განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირველი საფეხურის დონის კადრების მომზადება.

საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები;
- უსდ-ის, მისია და სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.sjuni.edu.ge;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირველი საფეხურის დონის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში აისახოს საერთაშორისო ტენდენციებიც და სტუდენთა ინტერნაციონალიზაციის საკითხებიც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები. იგი მოიცავს იმ ცოდნას (შედეგი A), უნარებს (შედეგები B,C,D,E,F), პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას (შედეგი G), რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასევე სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(A) აღწერს:

- სამართლის არსს, სამართლის ნიშნებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და მათ მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებსა და სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობას სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის, ასევე ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს;
- სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, კონსტიტუციური სამართალწარმოების თავისებურებებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული სამართლის არსსა და პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;

- სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, უმნიშვნელოვანეს ცივილისტურ კატეგორიებს, ცნებებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს; სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს;
- სისხლის სამართლის არსს, სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს.

(B) ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არსებული სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიებას, განმარტებასა და გამოყენებას;

(C) ადგენს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებისას იურიდიული შინაარსის დოკუმენტებს (საჩივარი, სარჩელის და ა.შ.), ასევე ინდივიდუალურ და ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და კერძოსამართლებრივ და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს;

(D) არჩევს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს კონკრეტული სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებისას;

(E) აანალიზებს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში არსებულ სამართლებრივ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის შესაბამის მიდგომებს და აყალიბებს საკუთარ დასაბუთებულ სამართლებრივივ დასკვნებს შერჩეული მიდგომების დასასაბუთებლად;

(F) მოიძიებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით და შეძლებს განახლებული ცოდნის საფუძველზე მოძიებული ინფორმაციის თაობაზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციას;

(G) ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, პატივს სცემს ინდივიდთა უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში იურისტის ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით და ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

პროგრამას სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია ის უნარები, რომელთა განვითარებასაც ემსახურება

პროგრამაში ჩართული თითოეული სასწავლო კურსი. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად უსდ-ის მიერ შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამის სწავლის შედეგები ფოკუსირებულია სტუდენტის მიღწევაზე. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებიც სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს უნდა გააჩნდეს. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები მთლიანობაში რეალისტური, მიღწევადი და გაზომვადია. მათი მიღწევა შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებულ პერიოდში პროგრამაში შემავალი ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსის დახვეწითა (იხ. 2.3 სტანდარტის შეფასება) და ინსტიტუციაში არსებული რესურსების გაუმჯობესებით (იხ. 4.3 სტანდარტის შეფასება).

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის წინასწარი შეფასების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით მიიღწევა სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაში მითითებულია ისიც თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს: 1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება და 3 - განმტკიცება.

მთლიანობაში პროგრამის სწავლის შედეგები 2.3 და 4.3. სტანდარტებით განთვალისწინებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით იქნება რეალისტური, მიღწევადი, თვალსაჩინო (ადვილად გასაგები) და გაზომვადია. სწავლის შედეგებში, გათვალისწინებულია ბაზრის მოთხოვნებიც, რომლებიც ეფუძნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს და გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გაუმჯებესებას.

ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, სამართლის სფეროს დამსაქმებლები. პროგრამის სწავლის შედეგების შედგენისას გათვალისწინებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ისინი გარკვეულწილად ჩამოყალიბებულია ბლუმის განახლებული ტაქსონომიის მიხედვით. მათი ფორმულირებისას გამოყებულია შემდეგი ფორმულა: სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი + მოქმედების გამომხატველი აქტიური ზმნა (აღწერს, ახდენს, ადგენს, არჩევს და იყენებს, აანალიზებს, მოიძიებს, ცნობს) + რა ეცოდინება, რას გაიაზრებს, რა უნარებს შეიძენს, რის დემონსტრირებას შეძლებს იგი.

პროგრამის სწავლის შედეგები მთლიანობაში, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს. პროგრამის სწავლის შედეგები არის საჯარო და ხელმისაწვდომი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 163 სტუდენტმა. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 93 პროცენტია, მათ შორის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად 40 პროცენტს შეადგენს. კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი 42 პროცენტს შეადგენს. კურსდამთავრებულთა 25 პროცენტი გავიდა სასერთიფიკატო გამოცდაზე, საიდანაც 25-ვე პროცენტმა გადალახა სასერთიფიკატო გამოცდის მინიმალური ზღვარი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, უსდ-ის მიერ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს შეფასების ფორმებსა და მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები და მეთოდები საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

სწავლის შედეგების შესაფასებლად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის №26 დადგენილებით დამტკიცებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდებია: გარკვეულ, კონკრეტულ შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსების ერთიანი შეფასება, გარკვეული პერიოდულობით, სწავლის შედეგების რუქის შესაბამისად. ამასთან, პირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალებია: სტუდენტთა ნაშრომები, პრეზენტაციები, ესე, დამატებითი გამოცდა, რომელსაც კრედიტი არ ენიჭება და ფასდება დადებითი ან უარყოფითი შეფასებით. აღნიშნული შეფასებისას ვლინდება სამიზნე ნიშნულები, რომლის მიხედვითაც ანალიზდება სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა შეძლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგზე გასვლა. სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდებია: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დადგენილი მექანიზმი პირდაპირი მეთოდების ნაწილში გარკვეულწილად ბუნდოვანია, არ უზრუნველყოფს ამ შეფასებების ვალიდურობას, სანდოობას და გამჭვირვალობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა წარმოებდეს თანმიმდევრულად და

გამჭვირვალედ, რომელიც უნდა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავდეს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

ამასთან, პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში ან კომპონენტებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. კურიკულუმის რუკით ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: საჯარო სამართალის პრაქტიკული კურსი, კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი, სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი და იურიდიული კლინიკა, რომლებიც პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგის შეფასების საშუალებას იძლევა.

სწორედ ამიტომ, გაუგებარია ე.წ. დამატებითი გამოცდით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ამასთან, ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ დამატებითი გამოცდა სტუდენტებისთვის ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს.

პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის უნდა გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის სასწავლო კურსები ან კომპონენტები, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება და არა ე.წ. ნებაყოფლობითი დამატებითი გამოცდების გზით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ოქმები);
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის №26 დადგენილებით დამტკიცებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის www.sjuni.edu.ge;
- სამიზნე ნიშნულები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.sjuni.edu.ge;
- კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ შეფასებების ვალიდურობას, სანდოობას და გამჭვირვალობას. მიზანშეწონილია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის

| |
|---|
| გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის სასწავლო კურსები ან კომპონენტები, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება და არა ე.წ. ნებაყოფლობითი დამატებითი გამოცდების გზით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში და შედეგებში სიტყვები „მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე“ შეიცვალოს სიტყვებით „ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე“ |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები (ქართულ ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ისტორია/მათემატიკა) და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე უნარ-ჩვევების ტესტს და აფხაზურ ან ოსურ ენას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B1+/B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში–უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე, უნივერსიტეტში

არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.“

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი და გამჭვირვალეა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების განსაზღვრისას გათვალისწინებულია საბაკალავრო საფეხურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსითის ვებ გვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროცედურებს, ასევე მის შინაარსობრივ მხარეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანამანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი, www.sjuni.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

| |
|---|
| შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მოცულობას, სწავლა-სწავლების მეთოდებსა და აქტივობებს, პროგრამის სტრუქტურას, სასწავლო გეგმას, სასწავლო რესურსს, სტუდენტის შეფასებას, კურიკულუმის რუკას, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკას, ასევე პროგრამის აკრედიტაციისა და პროგრამის განახლების თარიღებს.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 EGTS კრედიტს, წელიწადში - 60 კრედიტს, ხოლო სემესტრში-30 კრედიტს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 4 სასწავლო წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.<br><br>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.<br><br>პროგრამაში შემავალი კომპონენტების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია. სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკა გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება თავისუფალი კომპონენტის, ინგლისური ენის კომპონენტის, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, საჯარო სამართლის მოდულის, კერძო სამართლის მოდულის, სისხლის სამართლის მოდულის და პრაქტიკული კურსისაგან. |

**თავისუფალი კომპონენტი**

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობაზე, წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 15 კრედიტი.

**ინგლისური ენის კომპონენტი**

ინგლისური ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.

ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 25 კრედიტის მოცულობით, 5 სასწავლო სემესტრის მანძილზე. ბოლო სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან დარგობრივ რელევანტურ ინგლისურ ენას.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისური ენისა, უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 25 კრედიტის დაგროვება სასწავლო კურსების - ინგლისური ენა A1 (Elementary)-ის, ინგლისური ენა A2 (Elementary)-ის, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი -1-ის, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი - 2-ის და ინგლისური ენა იურისტებისთვის - 1-ის ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა, ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 25 კრედიტის დაგროვება - სასწავლო კურსების ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი - 1-ის, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი - 2-ის, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი - 3-ის, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი - 4-ის და ინგლისური ენა იურისტებისთვის - 2-ის ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 5 კრედიტის დაგროვება - სასწავლო კურსის ინგლისური ენა იურისტებისთვის - 2-ის ხარჯზე. ამ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათ-

ლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

**ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები**

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი შეიძენს ფართო თეორიულ ცოდნას სამართლის ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების, სამართლის ძირითადი თეორიების, განმარტების მეთოდების, სამართლის ფუნქციების, სამართლის ნორმის სახეების და სტრუქტურის, იურიდიული ფაქტების, სამართლის ნორმის შეფარდების სტადიების, იურიდიული პასუხისმგებლობის სახეების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ქართული სახელმწიფო სამართლის განვითარების ძირითადი ეტაპებისა და თავისებურებების, ძველი ქართული სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების, ასევე რომის სამართლის ძირითადი ინსტიტუტებისა და კატეგორიების შესახებ.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები გამოუმუშავებს სტუდენტს დარგობრივი დისციპლინების დაუფლებისათვის სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნების საწყის უნარებს, ასევე ძველი ქართული სამართლის წყაროების მოძიების, მათზე მუშაობის, საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის და დასაბუთების უნარს.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი, მათ შორის 15 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსების, ხოლო 5 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიღრმაოს ცოდნა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორიის, ან/და სამართლის მეთოდების ხარჯზე.

**საჯარო სამართლის მოდული**

საჯარო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 55 კრედიტი.

საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარზე სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 20 კრედიტი.

საჯარო სამართლის მოდულის გააჩნია მოდულის მიზანი და სწავლის შედეგები, რომლებიც თანხვედრაშია ამავე მოდულით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

**კერძო სამართლის მოდული**

კერძო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 55 კრედიტი.

კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარზე სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 20 კრედიტი.

კერძო სამართლის მოდულის გააჩნია მოდულის მიზანი და სწავლის შედეგები, რომლებიც თანხვედრაშია ამავე მოდულით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

**სისხლის სამართლის მოდული**

სისხლის სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 40 კრედიტი.

სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარზე სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 20 კრედიტი.

სისხლის სამართლის  მოდულის გააჩნია მოდულის მიზანი და სწავლის შედეგები, რომლებიც თანხვედრაშია ამავე მოდულით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

**პრაქტიკული კურსი**

პრაქტიკული კურსი - იურიდიული კლინიკა მოიცავს 10 კრედიტს. იურიდიული კლინიკის მიზანია სტუდენტს გაუღრმაოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საჯარო, სისხლის და კერძო სამართლის დარგებში, უკეთ შეამეცნოს სამართლის ფუნდამენტური პრინციპები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები, მათ შორის  საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის  მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები, მეტწილად თანმიმდევრულად და სტრუქტურულად არის კონსტრუირებული. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე

დაშვების წინაპირობები ძირითადად ლოგიკურია. პროგრამაში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული წინაპირობებით. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები არ არის ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში და მოითხოვს დაზუსტებას. მაგალითად, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები"-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი", მაშინ როდესაც კურიკულუმის თანახმად ორივე სასწავლო კურსი ერთ სასწავლო სემესტრში ისწავლება. სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები"-ს დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განისაზღვროს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)". დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი"-ს დაშვების წინაპირობებიც. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)", რაც აშკარად არასაკმარისია ამ სასწავლო კურსის შესასწავლად. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1". ამასთან, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 "-ის დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი"-ს ნაცვლად უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1", ვინაიდან ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა ამ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების შესასწავლად.

მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა იმისთვის, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი ცნობდეს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას და მონაწილეობდეს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში იურისტის ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით (პროგრამის სწავლის შედეგი G), სავალდებულოა, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამამ სავალდებულოდ მოიცვას ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებაც.

პროგრამის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი, რომელი კურსი სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკით ნათლად ჩანს, რომ პროგრამის შინაარსით სწავლის ყველა შედეგი დაფარული.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სამართლის ბაკალავრი) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა მოიცავს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის მოდულის ფარგლებში სასწავლო

კურსების არჩევითობას, მთლიანობაში 20 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული შეთავაზების მიზანია, სტუდენტებს მიეცეთ სავალდებულო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნის გაღრმავების ან, საკუთარი სასწავლო ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი კურსების არჩევის შესაძლებლობა.

პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გაიზარდოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის მოდულის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა ისეთი სავალდებულო კურსების ხარჯზე, როგორიცაა: ფილოსოფიის შესავალი, სასჯელის შეფარდება, სასჯელაღსრულებითი სამართალი, საარჩევნო სამართალი, მითუმეტეს, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებელით აღნიშნული სასწავლო კურსების მოქცევა სავალდებულო სასწავლო კურსების ბადეში აუცილებელი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ მთლიანად ფარავს სამართლის დარგობრივი მახასიათებელით გათვალისწინებულ სამართალის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელ სწავლის შედეგს (სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი აღწერს საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას), სასურველია სტუდენტებს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე მიეცეთ საერთაშორისო სამართლის მიმართულებითაც ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა, მითუმეტეს, რომ უსდ-ს ამ მიმართულებით რესურსი გააჩნია.

არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების ზრდა სტუდენტს უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში მონაწილეობდა ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი კითხვარებით, ოქმებით, მიმოწერით და სხვა დოკუმენტებით.

პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის გამოყენებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდი. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად ასევე ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო თუ საორიენტაციო შეხვედრები, როგორც აბიტურიენტებთან, ასევე ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ოქმები);
- გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.sjuni.edu.ge
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია ცალკეულ შემთხვევებში პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები"-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი", მაშინ როდესაც კურიკულუმის თანახმად ორივე სასწავლო კურსი ერთ სასწავლო სემესტრში ისწავლება. სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები"-ს დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განისაზღვროს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)". დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი"-ს დაშვების წინაპირობებიც. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)", რაც აშკარად არასაკმარისია ამ სასწავლო კურსის შესასწავლად. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1". ამასთან, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 "-ის დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი"-ს ნაცვლად უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1", ვინაიდან ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა ამ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების შესასწავლად;
- რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამამ სავალდებულოდ მოიცვას ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებაც.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა (20 ECTS), თუნდაც ისეთი სავალდებულო კურსების ხარჯზე, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, სასჯელის შეფარდება, სასჯელაღსრულებითი სამართალი და საარჩევნო სამართალი. აღნიშნული ცვლილება უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში.
- პროგრამის თავისუფალი კომპონენტი შედგება ზოგადტრანსფერული უნარების განმავითარებელი სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან. შესაბამისად აღნიშნული კომპონენტი არ წარმოადგენს თავისუფალ კომპონენტს. თავისუფალი კომპონენტის

შემთხვევაში სტუდენტს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის თავისუფალ კომპონენტს სასურველია ეწოდოს ზოგადტრანსფერული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები ან არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითად ნაწილს სასწავლო კურსები წარმოადგენენ. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სწავლის შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებულია ის სასწავლო კურსები, რომელთა სწავლის შედეგების ერთობლიობა ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა - ამავე კურსის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დასადგენად გამოყენებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა ამა თუ იმ კურსით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება ეროვნული საკვალიფკაციო ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფკაციათა აღმწერს და სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ კომპეტენციებს. ამასთან, როგორც 2.2 სტანდარტის განხილვისას აღინიშნა, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ ასევე სავალდებულოდ მოიცვას ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებაც.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებში, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში. კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო, ასევე არასაკონტაქტო საათები. სასწავლო კურსის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა შეესაბამება სტუდენტის სასწავლო დატვირთვას, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობასა და სირთულეს, ასევე კურსის ფარგლებში გამოსაყენებელ სწავლა-სწავლების მეთოდებს.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, სწავლის შედეგების მისაღწევად, მოითხოვს გადახედვას.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების („შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „ადმინისტრაციული სამართალი - ადმინისტრაციული წარმოება“, „ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი“, „ქართული სამართლის ისტორია“, „რომის სამართლის საფუძვლები“, „სამართლის მეთოდები“) სილაბუსებში მე-14 და მე-15 თემები, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა აბსოლიტურად იდენტურია, რაც ინტერვიუს პროცესში ვერ იქნა ახსნილი და დასაბუთებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების („ადამიანის ძირითადი უფლებები“, „ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „საპოლიციო სამართალი“, „სამოხელეო სამართალი“, „სააღსრულებო სამართალი“, „სამოქალაქო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „შრომის სამართალი“, „სანოტარო სამართალი“, „სასჯელის შეფარდება“, „კრიმინალისტიკა“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „შესავალი სამართალმცოდნეობაში“) სილაბუსებში მე-13, მე-14 და მე-15 თემები, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა ასევე აბსოლიტურად იდენტურია.

ანალოგიური სიტუაციაა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების („ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და საკონსტიტუციო კონტროლი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 1“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საერთაშორისო კერძო სამართალი“, „ინტელექტულური საკუთრების სამართალი“, „სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი“, „სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი“) სილაბუსებშიც, სადაც მე-13 და მე-14 თემები, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა ასევე აბსოლიტურად იდენტურია.

სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ზემოაღნიშნულ სილაბუსებში განსახილველი საკითხები უნდა გადანაწილდეს ისე, რომ აღმოიფხვრას მათი აბსოლიტურად დაუსაბუთებელი დუბლირება.

პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა სწავლის შედეგი შეფასებადია. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების რუბრიკაში დეტალურადაა აღწერილი სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსის სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული ზოგადი ინსტრუქციებისა და რეგულაციების შესაბამისად.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა: ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, ელექტრონულ რესურსები და სხვ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად ეფუძნება სამართლის აქტუალურ მიღწევებს, სამართლის დარგობრივ მახასიათებელს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია 6-8 სასწავლო სემესტრების განმავლობაში სასწავლო რესურსებში უფრო მეტად იქნეს გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურაც.

ამასთან, მთელი რიგი სასწავლო კურსების („შესავალი სამართალმცოდნეობაში“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა“, „ადმინისტრაციული სამართალი - ადმინისტრაციული წარმოება“, „შრომის სამართლი“, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „ვალდებულებითი სამართლი (ზოგადი ნაწილი)“, „სახელშეკრულებო სამართლი“, „სამოქალაქო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“) სილაბუსები მოითხოვს სავალდებულო ლიტერატურის განახლებას და მათში უახლესი სასამართლო პრაქტიკის ინტეგრირებას.

ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო კურსების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების პროცესში გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და ელექტრონული რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში მე-14 და მე-15 თემები ან მე-13, მე-14 და მე-15 თემები ან მე-13 და მე-14 თემები, მათ შორის, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა აბსოლიტურად იდენტურია. სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახილველი საკითხები გადანაწილდეს ისე, რომ აღმოიფხვრას მათი დუბლირება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსი „ინფორმატიკა“ სასურველია სტუდენტს უვითარებდეს ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების უნარს;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია 6-8 სასწავლო სემესტრების განმავლობაში სასწავლო რესურსებში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
- სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები („შესავალი სამართალმცოდნეობაში“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა“, „ადმინისტრაციული სამართალი - ადმინისტრაციული წარმოება“, „შრომის სამართლი”, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „ვალდებულებითი სამართლი (ზოგადი ნაწილი)”, „სახელშეკრულებო სამართლი”, „სამოქალაქო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა”) გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის განახლებისა და მათში უახლესი სასამართლო პრაქტიკის ინტეგრირების მიზნით;
- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულ თითოეულ განსახილველ თემასთან მიმართებით განსაზღვრისას მხოლოდ ამ თემისათვის რელევანტური სავალდებულო ლიტერატურა. მაგალითად, სასწავლო კურსის

„საგადასახადო სამართალი“-ს სილაბუსში თხუთმეტივე განსახილველ თემასთან მიმართებით მითითებულია სილაბუსით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც განსახილველ თემასთან მიმართებათ ირელევენტურია.

- სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა სრულად უნდა გამოიყენებოდეს ამავე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკის შესწავლისათვის და ის ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მ. ლომსაძის სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (თბ., 2020), მ. ტურავას სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (თბ., 2013) და ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც ამავე კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკასთან მიმართებაში სავალდებულო ლიტერატურად მხოლოდ მ. ლომსაძის სახელმძღვანელო გამოიყენება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროფესიული პრაქტიკა პროგრამის აუცილებელი კომპონენტია. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის პროფესიული უნარების გამომუშავება და განვითარება უსდ-ს მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ვიზიტისას, აკადემიურ პერსონალთან

ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირებულია პრაქტიკული კომპონენტის გამრავალფეროვნებითა და უფრო მეტად გააქტიურებით.

სამართლის საბაკალავლო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი დაგეგმილი და ორგანიზებულია თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. სამართლის საბაკალავლო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა წარმოდგენილია თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსების თანმიმდევრული განხორციელების სახით.

პროგრამაში პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, ჩაშენებულია თეორიულ კურსებში. ამ შემთხვევაში პრაქტიკა ფოკუსირებულია იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი. პრაქტიკის აღნიშნული მოდელის მიზანია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების მყისიერი ტრანსფერი პრაქტიკაში. პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად გასდევს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი აქვს. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება:

- „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ (სტუდენტი ადგენს საკონსტიტუციო სარჩელს, წარდგინებას);
- „ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა“ (სტუდენტი ახდენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა შედგენის მექანიზმის შემუშავებას, აგრეთვე ხელშეკრულების მოქმედების ვადის, მხარეთა უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობის და სხვა საკითხების განსაზღვრას, სტუდენტი ადგენს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტებს);
- „ადმინისტრაციული სამართალი - ადმინისტრაციული წარმოება“ (სტუდენტი მონაწილეობს მარტივ და ფორმალურ, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში);
- „საკონსტიტუციო კონტროლი“ (სტუდენტი ადგენს საკონსტიტუციო სარჩელს, გადაწყვეტილებას და სხვას, სტუდენტი მონაწილეობს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში);
- „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ (სტუდენტი ადგენს ადმინისტრაციული სარჩელს, გადაწყვეტილებას, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს და სხვა; მონაწილეობს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში);
- „სახელშეკრულებო სამართალი“ (სტუდენტი ახდენს ხელშეკრულებათა შედგენის მექანიზმის შემუშავებას, აგრეთვე ხელშეკრულების ფორმისა და ტიპის შერჩევას, მოქმედების ვადის, მხარეთა უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობის და სხვა საკითხების განსაზღვრას);
- „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“ (სტუდენტი ახდენს საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის შემუშავებას, აგრეთვე საქორწინო ხელშეკრულების პირობებისა და საქორწინო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განსაზღვრას);

- „შრომის სამართალი“ (სტუდენტი ახდენს შრომითი ხელშეკრულების შედგენის მექანიზმის შემუშავებას, აგრეთვე ხელშეკრულების მოქმედების ვადის, მხარეთა უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობის და სხვა საკითხების განსაზღვრას);
- „სამოქალაქო სამართლის პროცესი-1“ (სტუდენტი ადგენს იურიდიული შინაარსის ცალკეულ საპროცესო დოკუმენტებს);
- სამოქალაქო სამართლის პროცესი - 2 (სტუდენტი ადგენს სარჩელს, საჩივარს, გადაწყვეტილებას, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს და სხვა);
- „სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი (სტუდენტი ადგენს იურიდიული შინაარსის ცალკეულ საპროცესო დოკუმენტებს);
- სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი (სტუდენტი ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო დოკუმენტებს; სტუდენტი მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვაში).

პროგრამის ფარგლებში აქტიურადაა ინტეგრირებული იმიტირებული სასამართლო პროცესებიც, შესაბამისი სასწავლო კურსების მიმართულებით.

პროგრამაში პრაქტიკა ასევე წარმოდგენილია სამი დამოუკიდებელი კურსის სახით (კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი, საჯარო სამართლის პრაქტიკული კური, სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი). პრაქტიკული კურსები სტუდენტებს შეეთავაზებათ პროგრამის დასკვნით ეტაპზე - მე-7 სემესტრში. აღნიშნული კურსების მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება.

სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკაში მითითებულია ისიც თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პრაქტიკულ კომპონენტს შემდეგი პრინციპით: გაცნობა (1), გაღრმავება (2), განმტკიცება (3).

სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის მოდელის შემთხვევაში სტუდენტი, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენეტის ფარგლებში, ჩართულია პრაქტიკულ აქტივობებში პროგრამაზე სწავლის პირველივე ეტაპიდან, ხოლო პრაქტიკის შემაჯამებელი კურსები საშუალებას აძლევს მას დამამთავრებელ ეტაპზე მოახდინოს პროგრამაზე სწავლის სხვდასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარების შეჯამება, გაანალიზება, თვითშეფასება და რეფლექსია.

პრაქტიკული კომპონენტის შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

გარდა ზემოაღნიშნულია, სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული კურსის სახით ითვალისწინებს იურიდიული კლინიკას, რაც პროგრამის აუცილებელ კომპონენტია და სტუდენტებს მე-8 სასწავლო სემესტრში შეეთავაზებათ. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას და საჯარო სკოლებში ეფექტური სამართლებრივი

განათლების დანერგვას. იურიდიული კლინიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ინტერაქტიული მეთოდიკის გამოყენებით ისეთი ძირითადი სამართლებრივი საკითხების სწავლებას, როგორიცაა: სამართალი და სამართლებრივი სისტემები; კონსტიტუცია და დემოკრატია; ადამიანის უფლებები და თავისუფლებები; სისხლის სამართალი; არასრულწლოვანთა უფლებები; სამოქალაქო სამართალი; მოლაპარაკების წარმოება და სხვა. იურიდიული კლინიკა ასევე ითვალისწინებს სტუდენტებისათვის სალექციო კურსებს, ასევე ინდივიდუალურ და ჯგუფურ პრაქტიკულ დავალებებს.

სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის - იურიდიული კლინიკის განხორციელების მიზნით უსდ-ს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები საჯარო სკოლებთან, რაც უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება (წარმოდგენილია ერთადერთი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლასთან, რომელიც რელევანტურია უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის).

უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნული მოდელი, რომელიც თავდაპირველად 1972 წელს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში (აშშ) შემუშავდა, დღეისათვის ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ ევროპის უნივერსიტეტებშიც და მას პრაქტიკული სამართლის კლინიკა (Street Law) ეწოდება. აშშ-ში და ევროპის უნივერსიტეტებში დამკვიდრებული პრაქტიკით პრაქტიკული სამართლის კლინიკაში (Street Law) მიიღებიან მხოლოდ მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტები, სპეციალური გასაუბრების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწინილია სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნულ მოდელს „პრაქტიკული კურსის - იურიდიული კლინიკის“ ნაცვლად ეწოდოს პრაქტიკული სამართლის კლინიკა და პროგრამის სავალდებულო კომპონენტიდან გადატანილი იქნას პროგრამის არჩევით კომპონენტებში.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მთელი რიგი სავალდებულო სასწავლო კურსის სილაბუსები ითვალისწინებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სტუდენტის მიერ ინდივიდუალური წერითი საშინაო დავალების შესრულებას. ამ მიზნით სტუდენტი მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, მეცნიერების სიახლეებს, აანალიზებს სამართლებრივ პრობლემებს, ავითარებს მათი გადაწყვეტის გზებს და განახლებული ცოდნის საფუძველზე, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს, ზეპირი და წერილობითი ფორმით.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით

| |
|---|
| გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.<br><br>სტუდენტთა კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალების გაცნობით დგინდება, რომ სტუდენტურ კონფერენციებზე სტუდენტები წარმოადგენენ მოხსენებებს მათი ინტერესების სფეროში შემავალი სამართლის აქტუალური საკითხების შესახებ.<br><br>უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების შესახებ, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>▪ სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>▪ შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;<br>▪ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალები;<br>▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული კურსის სახით ითვალისწინებს იურიდიული კლინიკას, რაც პროგრამის აუცილებელ კომპონენტია. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას და საჯარო სკოლებში ეფექტური სამართლებრივი განათლების დანერგვას. იურიდიული კლინიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ინტერაქტიული მეთოდიკის გამოყენებით ძირითადი სამართლებრივი საკითხების სწავლებას. მიზანშეწინილია სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნულ მოდელს „პრაქტიკული კურსის - იურიდიული კლინიკის" ნაცვლად ეწოდოს პრაქტიკული სამართლის კლინიკა (Street Law) და პროგრამის სავალდებულო კომპონენტიდან გადატანილი იქნას პროგრამის არჩევით კომპონენტებში. ამასთან, აღნიშნული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით უსდ-მ უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები საჯარო სკოლებთან. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეესაბამებ საბაკალავრო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს.<br><br>შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის |

განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, სასწავლო პრაქტიკა);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
- სხვა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს მრავალფეროვან და თანამედროვე აქტივობებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლება-სწავლის პროცესში ითვალისწინებს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორიცაა: გონებრივი იერიში (Brain storming), გუნდური (collaborative) მუშაობა, დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება), დემონსტრირება, დისკუსია-დებატები, ევრისტიკული მეთოდი, ვერბალური ახსნა–განმარტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, პრაქტიკული მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), საშინაო დავალების შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა), როლური და სიტუაციური თამაშები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD), შემთხვევის ანალიზი (Case study), წერითი მუშაობა და სხვა.

სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესებიც. სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების განსხვავებული ფორმები - ინდივიდუალური გეგმები.

პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს 2019 წლის 10 აპრილს გავლილი აქვს ტრენინგი თემაზე: „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები".

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და მრავალფეროვანი აქტივობები იძლევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის, ასევე სტუდენტის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების შეფასების შესაძლებლობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უსდ-მ შეიმუშაოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა

მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უსდ“) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც დასტურდება პროგრამის სილაბუსებით, სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით.

უსდ-ს მიერ, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული

შედეგების, არსებული ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ. აღნიშნული კი თავის მხრივ უზრუნველყოფს უკუკავშირს. უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესი.

პროგრამის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები სტუდენტებისათვის გასაგებად არის განსაზღვრული. შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს, როგორც ზეპირი და წერითი გამოკითხვის კომპონენტს, ასევე საშინაო დავალების შესრულებასა და მის საჯარო პრეზენტაციას. შეფასების კომპონენტებისას გამოყენებულია შეფასების ადექვატური მეთოდები და კრიტერიუმები (კაზუსის ამოხსნა, პრაქტიკული დავალების შესრულება, ტესტი, ღია კითხვა და სხვა).

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილება უსდ-ის ადმინისტრაციის, მათ შორის, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სერვისების, მიმართ. განსაკუთრებით გამოიკვეთა უსდ-ის მხრიდან მათ მიმართ თანამშრომლობაზე ორიენტირებული დამოკიდებულება.

ამასთან, როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების საკმაოდ რთული მექანიზმი, რაც დეკანის ჩართულობით სპეციალური კომისიის მიერ სტუდენტის აპელაციის განხილვას გულისხმობს.

უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება, თუმცა იგი ნაკლებად მოქნილია. სასურველია, ამ მიმართულებით უსდ-მ შეიმუშავოს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ისეთი გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტს უფრო მარტივად მიიღოს უკუკავშირი შუალედური/დასკვნითი გამოცდებისას დაშვებული შეცდომებისა და მიღებული შეფასების ობიექტურობის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უსდ-ს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები;
- ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უსდ“) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, სტუდენტებისათვის გასაგებად არის აღწერილი. |

როგორც სტუდენტები ინტერვიუს პროცესში აღნიშნავენ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვის. სტუდენტი იღებს კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა და სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი.

სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში, ახორციელებს აკადემიური პერსონალის მობილობას დედაქალაქიდან. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე.

უსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით, დამსაქმებელთა, პროფესორ მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად სამართლის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვურული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტოირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებამ განსაზღვრა სტრატეგია, რომლის საწყის ეტაპზე, პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური ენის კურსები, ასევე, პროფესიული ინგლისური ენის სასწავლო კურსი.

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე.

უსდ მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში. სალექციო ცხრილი არის მოქნილი და სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ ლექციების ჩასატარებლად მათთვის სასურველი დრო.

უსდ ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსებას თუ თანადაფინანსებას საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ტიპის აქტივობებში.

სტუდენტები მონაწილეობენ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. უსდ მაქსიმალურად

უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის სამეცნიერო კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად.

უსდ ჩართულია ერასმუსის პროგრამაში. უსდ ასევე თანამშრომლობს პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით აქტივობებში. ამასთან, არსებული ენობრივი ბარიერებიდან გამომდინარე, ერასმუსის პროგრამით სარგებლობა სტუდენტებისთვის მეტად შეზღუდულია.

უსდ-ს ყავს უცხოელი სტუდენტები, რომლებსაც დაწესებულება ქართული ენის ერთწლიან მოსამზადებელ პროგრამას სთავაზობს. აღნიშნული პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, უცხოელი სტუდენტები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ირიცხებიან უსდ-ში სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უსდ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიარონ სტაჟირება კერძო/საჯარო სექტორში

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- უსდ-ის ბიუჯეტი;
- მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უსდ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა** |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალურ ი მუშაობა | √ | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 19 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 28. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხება 93 აქტიური სტატუსის მქონე |

| |
|---|
| სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 0,3 აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,05. აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო საფეხურისათვის საშუალო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.<br><br>პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები;<br>• სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი;<br>• ინტერვიუირების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება |
| --- |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:<br><br>უნივერსიტეტში დანერგილია და წარმატებით მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების, თვითშეფასების და განვითარების სქემა, რომელიც ერთი მხრივ მოიცავს სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას, ასევე თავად აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება, ასევე პერსონალის კმაყოფილების კვლევა. ამასთანავე, ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.<br><br>აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს, როგორც მათი სასწავლო ასევე, კვლევითი საქმიანობის შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება მათი პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარებას.<br><br>უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, რომელიც მიმართულია უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისათვის, თუმცა ეს თანხები ძალიან მცირეა და ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების საკმარის ფინასურ ხელშეწყობას.<br><br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, მაგრამ ბოლომდე ხელს ვერ უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პერსონალის პირადი საქმეები;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. მედწილად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია მათ შორის უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან, სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ საკანონმდებლო მაცნეს

| |
|---|
| მომხმარებელი გააქტიურებულია ბიბლიოთეკაში, თუმცა აქვე განმარტეს, რომ ერთდროულად მხოლოდ ერთ მომხმარებელს შეუძლია ამ ბაზით სარგებლობა.<br><br>მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების უფრო ფართო რაოდენობას ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე სახლიდან.<br><br>უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსების ისეთ ბაზებთან როგორიცაა :<br><br>○ Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core)<br>○ e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/) Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/page/70/journals)<br>○ IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche)<br>○ Openedition Journals (http://www.openedition.org/)<br>○ Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/) SAGE Premier (https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier)<br>○ SAGE APCs for Open Access Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at- sage).<br><br>სასურველი იქნება, თუ უნივერსიტეტი იზრუნებს სამართალის სფეროში ისეთ პოპულარული რესურსების შეძენაზეც, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>▪ თვითშეფასების ანგარიში<br>▪ ინფრასტრუქტურის online დათვალიერება;<br>▪ საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესრუსებთან წვდომა<br>▪ უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები<br>▪ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან (online);<br>▪ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>▪ რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე"- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>▪ სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com. |

| |
|---|
| აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
|---|
| პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს დამოუკიდებელი ბიუჯეტები არ გააჩნიათ და ისინი ასახულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის უსდ-ს გააჩნია შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. პროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია და ეკონომიკურად მიღწევადია.<br><br>ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის შემოსავლებით, თუმცა არის მთელი რიგი პრობლემები. კერძოდ:<br><br>• უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად ფინანსური რესურსები როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამებისათვის წლიურად მხოლოდ 2000 ლარს შეადგენს, რაც აშკარად არასაკმარისია ეფექტური სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად;<br>• უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ტრასპორტირებას თბილისიდან ახალციხეში და შემდგომ უკან რაც მისასალმებელი მოვლენაა, თუმცა ეს ხარჯი საერთოდ არ არის ასახული ფაკულტეტის ბიუჯეტშიც კი. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანაგარიში;<br>• უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისათვის საჭირო ხარჯების კლასიფიკატორი;<br>• უნივერსიტეტის ბიუჯეტი;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | √ | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამართლის საბაკალავრო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნივერსიტეტში განსაზღვრულია - წარმოდგენილია რამდენიმე კითხვარი როგორც ფორმა, ასევე, წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგების ანალიზი, სემესტრული ანალიზი ე.წ. გაუსის მეთოდით, თუმცა, მცირედად არის ასახული ის უკუკავშირი, რაც გამოკითხვის შედეგებსა და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს შორის უნდა არსებობდეს. თვითშეფასების ანგარიშით ასახულია ყველა ის პროცესუალური სტრუქტურა, რაც პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, ძირითადად, არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს უკავშირდება.<br><br>პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, თუმცა, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებსა თუ ნაკლოვანებებზე ნაკლები აქცენტია გაკეთებული.<br><br>აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების გეგმის არარსებობისა და მასში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობის თაობაზე: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებად იყოფა, თავიანთი ხვედრითი წილით მონაწილეობენ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაში და მხოლოდ არაპირდაპირი მექანიზმის გამოყენება პროგრამის სრულფასოვანი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმად არ შეიძლება იყოს განხილული. შედეგად, სასურველია, პირდაპირი შეფასების გეგმაც იქნეს გამოყენებული პროგრამის შიდა შეფასების ეტაპზე, სადაც განსაზღრული იქნება შეფასების დრო, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები, მონაცემების ანალიზის დრო, სამიზნე ნიშნულები და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>• გამოკითხვის ფორმები;<br>• გამოკითხვის ანალიზის შედეგები;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |

- რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმა გადაიხედოს და სწორად გაიწეროს როგორც შეფასების მეთოდები, ისე განხორციელების დრო, შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის გარე ხარისხის შეფასების ფორმად, აკრედიტაციის სტანდარტის თანახმად, აღებულია ეროვნული ან/და საერთაშორისო აკრედიტაციის დროს მიღბული რეკომენდაციები. შესაბამისად, სასურველი იყო, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ყოფილიყო ბოლო აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშის შესავალ ნაწილში ნახსენებია, რომ აკრედიტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა. ასევე, გარე კოლეგიალური შეფასება აუცილებლად უნდა იქნეს გამიჯნული ხარიხსის გარე შეფასებისაგან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება გაიმიჯნოს კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება აისახოს თვითშეფასების ანგარიშში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. თვითშეფასების ანგარიში მიხედვით, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის მონიტორინგის ფორმატში, დაწესებულება, საჭიროების შემთხვევაში, იყენებს ლექციაზე დაკვირვების ფორმას. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს კოლეგიალური დასკვნითი გარე შეფასება, რაც პროგრამის მონიტორინგისთვის სასურველი ფორმაა.

სტუდენტების მხრიდან ხორციელდება სასწავლო კურსების შეფსებაც და ამ შედეგების ანალიზიც წარმოდგენილია.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის მიზნით, უსდ-ის მიერ არ არის განხორციელებული წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების

| |
|---|
| (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარების მიზნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• სტუდენტთა გამოკითვის შედეგები;<br>• გარე კოლეგიალური შეფასება;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | √ | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:**

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:**

სამართალი, ბაკალავრიატი

**დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55**

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | √ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | √ | | |

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის**

**სახელი, გვარი, ხელმოწერა**

**გიორგი მახარობლიშვილი**



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ზვიად როგავა



ლევან მოსახლიშვილი



თათია უბერი

